პროგრამის სახელწოდება	*ბატიკი*
სტრუქტურული ერთეული	*უწყვეტი განათლების ცენტრი*
კოდი	CAf3
ECTS	20 კრედიტი: 1კრედიტის მოცულობა-25 სთ. 500 სთ. ბატიკის კომპოზიცია - 5 კრედიტი. 125 სთ. საკონტაქტო – 50 სთ. დამოუკიდებელი 75 სთ. CAf3c-1 მასალაში შესრულება - 15 კრედიტი. 375 სთ. საკონტაქტო – 150 სთ. დამოუკიდებელი 225 სთ. CAf3c-2
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის საკადრო უზრუნველყოფა	პროგრამის ხელმძღვანელი - ქეთევან ვაჩეიშვილი მხატვარი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სახვითი ხელოვნების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ტელ: 599137483 e-mail:ketevanv@gmail.com
დაშვების წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება
მიზანი	მე -20 საუკუნის დასაწყისში გაძლიერდა ინტერესი აღმოსავლეთისა და მისი თავისებური კულტურის მიმართ, რამაც გამოიწვია ბატიკის აღზევება. ბატიკით ქსოვილის დეკორირებას თანამედროვე დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში საკმაოდ სოლოდური ადგილი უჭირავს. სასწავლო ბლოკის მიზანია მსმენელმა შეიძინოს ცოდნა ტექსტილის დეკორირების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის - ბატიკის (ცხელი, ცივი. თავისუფალი მოხატვის ტექნიკა, შიბორი) შესახებ. გაერკვეს ბატიკის ტექნიკით ქსოვილის მოხატვის მხატვრულ- ტექნოლოგიურ მხარეში, შეისწავლოთ ქსოვილის კომპოზიციის და ბატიკის მასალაში შესრულების ტექნიკა და ტექნოლოგია. გაეცნოს სამუშაო მასალებს და აითვისოს ხელსაწყო–იარაღების გამოყენების ხერხები, განსაზღვროს ამ დისციპლინის როლი დიზაინის, კერძოდ კი ტექსტილის დიზაინის განვითარებაში. სასწალო კურსის გავლის შემდეგ მსმენელმა დამოუკიდებლად უნდა შეძლოს ესკიზებისა და ტექსტილის დეკორირების შესრულება.საკონტაქტო საათები ეთმობა პრაქტიკულ მეცადინეობას, რომელიც გამიზნულია კურსის ტექნიკურ-ტექნოლოგიური ნაწილის დასაუფლებლად. დაუშვებელია პლაგიატი.
სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა	ქეთევან ვაჩეიშვილი - პროფესორი; სახვითი ხელოვნების დეპარტამენტის ხელმძღვანელი; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. მობ. 599137483. E-mail: ketevanv@gmail.com
ცოდნის შეფასების სისტემა	მსმენელი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა). სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“). სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ–ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან: დადებითი შეფასება: (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ

	მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მსმენელის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. მსმენელი“ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე: ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე; ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე. ● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ● შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
სწავლებისა და სწავლის მეთოდები	ევრისტიკული მეთოდი; ახსნა–განმარტებითი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; - პრაქტიკული მეთოდები; დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პრეზენტაცია; სტუდენტთა აქტივობები: ლექციაზე დასწრება, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობა; პრეზენტაციის მომზადება; დამოუკიდებელი მეცადინეობა; პრაქტიკა; წყაროზე და ტექსტებზე დამოუკიდებელი მუშაობა; ინტერნეტ–რესურსების დამოუკიდებლად მოძიება; გამოცდების მომზადება-ჩაბარება; ● სალექციო და ჯგუფში მუშაობის საათების განაწილება მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში.
ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა	სასწავლო კურსის გავლა შეიძლება ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად.
სწავლის საფასური	სწავლის საფასური განისაზღვრება საათის ღირებულების მიხედვით. 1 აკადემიური საათი 15 ლარი. ჯგუფთან ერთად კურსის გავლის შემთხვევაში 1 აკადემიური საათის ღირებულება შეიძლება განისაზღვროს დადგენილ ნორმაზე ნაკლები ოდენობით.
კურსის გავლის დამადასტურებელი მოწმობა	*სწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი*